ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთი „ახალი თაობა“ წარმოგიდგენთ
1 აპრილიდან
იესო ქრისტეს ნათლისღება
წიგნი შედგენილია
არქიმანდრიტ
ნესტორ ყუბანეიშვილის
მიხედვით
ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი
მოიკითხეთ პრესის გავრცელების სტელაჟებზე

პარასკევი, 1 აპრილი, 2016 №77 (7003) ფასი: 50 თეთრი

რესპუბლიკური პარტია კოალიციიდან გავიდა

„უსუფაშვილი შეიძლება გადავირჩიოთ“

„სამთავრობო თანამდებობებს დავტოვებთ საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგის ან პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილების გამო“

სანდრო ბრეგაძე: „ხიდაშელი უნდა გადადგეს!“

თინათინ ხიდაშელი შემჩნეულია ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ საკმაოდ ბევრ ქმედებაში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სირცხვილია, გყავდეს ისეთი თავდაცვის მინისტრი, რომელიც აფხაზეთს საქართველოს ნაწილად არ განიხილავს

პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებაზე კომისია უნდა შეიქმნას

პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებასთან დაკავშირებით საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატივა „გირჩის“ ლიდერმა ზურაბ ჯაფარიძემ პარლამენტში გუშინ კიდევ ერთხელ გააჟღერა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პოლიტიკური პარტია „გირჩიდან“ აცნობეს, ამჟამად ინიციატივაზე ხელი 25-მა დეპუტატმა მოაწერა როგორც უმცირესობიდან, ისე უმრავლესობიდან.

– ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომლის არცერთ დეპუტატს ხელი არ მოუწერია ამ ინიციატივაზე, „თავისუფალი დემოკრატები“ არიან. ზურაბ ჯაფარიძე მოუწოდებს საქართველოს პარლამენტის ყველა წევრს, მხარი დაუჭირონ მის ამ ინიციატივას, რათა პრობლემას ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაესვას, – აცხადებენ პარტიაში.

ინტერპრესნიუსი

სოსო ცინცაძე: „ქართულ ოცნებას“ მარტო გაუჭირდება“

„პარტია „ქართული ოცნების“ მიმართ ნდობა გაიზრდება“

სოსო მანჯავიძე: „ეს რესპუბლიკელების გადაწყვეტილება არ ყოფილა“

ვახტანგ ხმალაძე: „პარტია „ქართულ ოცნებას“ კოალიციურ პარტნიორებთან გარკვეული უხერხულობა ჰქონდა“

ქოზეფ დოლი: „მიუღებელია, არჩევნების წინ მთავრობა ოპოზიციური ძალის დისკრედიტაციას ახდენდეს“



აშშ აღმოსავლეთ ევროპაში სატანკო ბრიგადას განალაგებს

ISSN 1987-9385

რესპუბლიკური პარტია კოალიციიდან გავიდა

შორენა მარსაგიშვილი

„უსუფაშვილი შეიძლება გადავირჩიოთ“

კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე თვითლიკვიდაცია გამოაცხადა.

გუშინ, 31 მარტს, ცნობილი გახდა, რომ კოალიციაში შემავალი პარტიები არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღებენ მონაწილეობას. საბოლოო გადაწყვეტილება 2 აპრილს დაგეგმილ პოლიტსაბჭოს სხდომაზე იქნება მიღებული.

ხმები კოალიციის დაშლის შესახებ დიდი ხანია ვრცელდება, თუმცა ამ ინფორმაციას არავინ ადასტურებდა. ერი ამ ხმებს სერიოზულად მიმდინარე წლის იანვარში მოეკიდა. მაშინ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა თამაზ მეჭიაურმა განაცხადა, რომ კოალიციაში შემავალ პარტიებს ამბიციები აწუხებთ და კარგი იქნება, თუ ყველა სუბიექტი არჩევნებში მონაწილეობას ცალკე მიიღებდა.

კოალიციაში შემავალ სუბიექტებს (პარტია „ქართული ოცნების“ გარდა) ეს განცხადება ცუდად ენიშნათ. მეჭიაური ბიძინა ივანიშვილის მეგობარია და ეს განცხადება ყველამ პირველი მეოცნების პოზიციად მიიღო. რესპუბლიკელებმა სიტუაცია ირონიული კომენტარებით განმუხტეს, მაგრამ საგურამოში გამართულმა ნადიმმა ყველაფერი თითქმის ნათელი გახადა.

ძველით ახალი წლის აღსანიშნავად ივანიშვილმა საგურამოს მარანში მხოლოდ საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრები მიიპატიჟა.

მეოცნებეთა საახალწლო სერობას გოგი თოფაძე არ დასწრებია, მაგრამ ძალიან მალე მრეწველებმა რესპუბლიკელებზე მიიტანეს იერიში. თოფაძემ თინა ხიდაშელი საგარეჯოს შუალედური არჩევნების გაყალბებაში დაადანაშაულა.

როგორც პარლამენტის ვიცესპიკერი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ საუბარში განმარტავს, მრეწველი რესპუბლიკელს ივანიშვილის დავალებით დაუპირისპირდა.

– ეს იყო ივანიშვილის მითითება, რადგან თოფაძემ თავის დროზე ამ არჩევნების შედეგები აღიარა. მან მხარი დაუჭირა საგარეჯოს არჩევნების ლეგიტიმაციას. გაყალბებაზე მოგვიანებით ალაპარაკდა. ეს კითხვის ნიშნებს ბადებს, – ამბობს დუმბაძე.

საგარეჯოს არჩევნების თემით ბოლოს პროკურატურაც დაინტერესდა. საგამოძიებო უწყებამ კანონდარღვევა ვერ აღმოაჩინა და ეს თემაც თითქოს დაიხურა. რესპუბლიკელები თავდაჯერებულები ჩანდნენ და ხაზგასმით ამბობდნენ, რომ კოალიციის დატოვებას არ აპირებდნენ.

სიტუაცია გასულ უქმეებზე გამართული პარტიის ეროვნული კომიტეტის სხდომაზე შეიცვალა. 27 მარტს გამოჟონა ინფორმაციამ, რომ რესპებმა კოალიციიდან გასვლაზე იმსჯელეს. როგორც ამბობენ, პარტიის წევრების ნაწილი ითხოვდა, რომ მათიანები მთავრობიდან და საპარლამენტო თანამდებობიდანაც წამოსულიყვნენ, რასაც რესპი-მინისტრები კატეგორიულად შეეწინააღმდეგნენ.

თანაგუნდელების ზრახვები საზოგადოებას პარტიის თავმჯდომარე ხათუნა სამნიძემ ამცნო. მან განაცხადა, რომ პარტია არჩევნებში მონაწილეობის ფორმებზე მსჯელობს და საბოლოო გადაწყვეტილებას გამოაცხადებდნენ.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა ომარ ნიშნიანიძემ მაშინვე განაცხადა, რომ რესპუბლიკელებმა ამით კოალიციასთან ვაჭრობა ღიად დაიწყეს. როგორც ამბობენ, ისინი საარჩევნო სიაში 25 გამსვლელ ადგილსა და სპიკერის სავარძელსაც ითხოვდნენ.

რესპებმა სპიკერის სავარძელზე გარანტიები ვერ მიიღეს. ეს ინფორმაცია დავით უსუფაშვილმა 30 მარტს კატეგორიულად უარყო. მისმა თანაპარტიელმა ლევან ბერძენიშვილმა კი განაცხადა, რომ ისინი მმართველი გუნდიდან არსად აპირებდნენ წასვლას.

– რა ენაზე უნდა ვთქვათ, რომ გაიგოთ – ჩვენ არსად არ მივდივართ, – ასეთი იყო მისი კომენტარი.

საბოლოო გადაწყვეტილება მათ 30 მარტის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე უნდა გაეჟღერებინათ. იმ დღეს პარლამენტის წინაშე სახელმწიფო უსაფრთხოების უფროსი ვახტანგ გომელაური უნდა გამოსულიყო. სხდომა კვორუმის არარსებობის გამო ჩაიშალა. ბოროტი ხმების მტკიცებით, მეოცნებეებმა სხდომა არა გომელაურს, არამედ რესპებს ჩაუშალეს.

* * *

ნანატრი განცხადება კოალიციაში შემავალმა №2 პარტიამ (ასე მიაჩნია დავით ბერძენიშვილს) 31 მარტს გააკეთა. მათ გვამცნეს, რომ არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღებენ მონაწილეობას.

„სამთავრობო თანამდებობებს საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგის ან პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილების გამო დავტოვებთ“

ერის ნაწილმა ამ ამბით ძალიან გაიხარა. ზოგიერთი ფეისბუქმომხმარებელი ამტკიცებდა, ასე 1991 წლის 31 მარტის დამოუკიდებლობის რეფერენდუმი არ გაგვხარებიაო.

– რესპუბლიკური პარტია დღეიდან საპარლამენტო არჩევნებისთვის ინდივიდუალური მზადების რეჟიმში გადადის. ამით ჩვენ ვწყვეტთ დროისა და ენერგიის ფუჭად ხარჯვას კოალიციურ ფორმატში საარჩევნო სტრუქტურების შექმნაზე და მივმართავთ მას პარტიის საარჩევნო პრიორიტეტებისკენ.

ჩვენი გადაწყვეტილება პარტია „ქართულ ოცნებასაც“ აძლევს საშუალებას, ზედმეტი უხერხულობების გარეშე დაადგეს იმ პოლიტიკურ გზას, რომელიც დასახული აქვს – არჩევნებზე დამოუკიდებლად, კოალიციური საარჩევნო ბლოკის გარეშე გასვლა. ამით ყველა ერთად დავასრულებთ უკიდურესად დამაზარალებელ და მოსაბეზრებელ საჯარო სპეკულაციებს შიდაკოალიციურ საკითხებზე, – განაცხადა საგანგებო ბრიფინგზე ხათუნა სამნიძემ.

მისი თქმით, არჩევნების თაობაზე მიღებული ეს გადაწყვეტილება არ ნიშნავს კოალიციიდან, საპარლამენტო უმრავლესობიდან, მთავრობიდან და საკრებულოებში უმრავლესობებიდან რესპუბლიკელების ავტომატურ და დაუყოვნებლივ გასვლას.

– არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდში აღნიშნულ საკითხებს ჩვენ ეტაპობრივად გადავწყვეტთ შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: სამთავრობო თანამდებობებს დავტოვებთ მხოლოდ საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგის ან პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილების გამო და არავითარ შემთხვევაში – ოკუპანტი ქვეყნის, ადგილობრივი სტალინელების, ანტინატოელებისა და ვიდეოშანტაჟისტების კოორდინირებული თუ დამთხვეული ულტიმატუმების ფონზე, – აღნიშნა პარტიის თავმჯდომარემ.

ამ განცხადებიდან მოკლე ხანში პარლამენტის სპიკერი პრემიერ გიორგი კვირიკაშვილს შეხვდა. შეხვედრის დასრულების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ მეოცნებეები „მეჭიაურის მოდელით“ – ცალ-ცალკე აპირებენ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას.

პრემიერ-მინისტრი მიიჩნევს, რომ მისაღები ფორმაა, „ქართული ოცნება“ არჩევნებზე დამოუკიდებლად გავიდეს, მაგრამ, ამის მიუხედავად, საჭიროა, მთავრობაში მუშაობა ჩვეულ რეჟიმში განაგრძონ.

– პარტიული კუთვნილების მიუხედავად, მთავრობის სტაბილურობა ძალიან მნიშვნელოვანია და შევეცდებით, ამ რეჟიმში მუშაობა გავაგრძელოთ არჩევნებამდე. არჩევნების შემდგომ თანამშრომლობის ფორმატზე დღეს საუბარი, ალბათ, ნაადრევია. საჭიროა, საქართველოს მოსახლეობამ გააკეთოს შესაბამისი არჩევანი.

არჩევნებში პარტიების დამოუკიდებლად მონაწილეობა ჩვეულებრივი საერთაშორისო პრაქტიკაა. ამაში განსაკუთრებული არაფერია. ნორმალურია, რომ არჩევნებზე პარტიები გავიდეთ დამოუკიდებლად, გარკვეული კოალიციების შექმნა კი არჩევნების შემდეგ ხდება, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, 2012 წელს, როდესაც „ქართული ოცნება“ არჩევნებზე ბლოკის ფორმით გავიდა, სრულიად სხვა რეალობა და ძალიან მძიმე წინასაარჩევნო პროცესი იყო, ხოლო დღეს სხვაგვარი რეალობაა.

მის მოსაზრებას სრულად ეთანხმება პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი. მისი განცხადებით, „ქართული ოცნება“ და რესპუბლიკელები თანამშრომლობის რეჟიმში იყვნენ, ახლა კი პარტნიორულ-კონკურენტულ რეჟიმზე გადადიან.

– ოპოზიციაში არ მივდივართ, რადგან პასუხისმგებლობა ერთად ავიღეთ, ჩვენ ერთად ვმართავთ ქვეყანას და კარგად გვესმის, ახლა ჩვენი პოსტებიდან წასვლა, უმრავლესობის დაშლა პარლამენტში და ასე შემდეგ რა სირთულეებს შექმნის. აქამდე „ქართული ოცნება“ და რესპუბლიკური პარტია პარტნიორულ ურთიერთობაში ვიყავით, ახლა კი პარტნიორულ-კონკურენციულ რეჟიმზე გადავდივართ, – განაცხადა უსუფაშვილმა.

* * *

რესპუბლიკელების გადაწყვეტილებით ყველაზე კმაყოფილი, წესით, გოგი თოფაძე უნდა დარჩენილიყო. მრეწველთა ლიდერი ძალიან კმაყოფილია და მზადაა, თავისი სამწყსო არჩევნებზე დამოუკიდებლად გაიყვანოს.

– ჩვენ ვაყენებდით საკითხს, რომ კოალიცია შეიქმნას არჩევნების შემდეგ – ვინც გადალახავს ბარიერს, მერე შეიქმნას კოალიცია, როგორც ყველა ქვეყანაში ხდება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სწორი ნაბიჯი იქნება, თუ ასე მოხდება. ვნახოთ. პრემიერ-მინისტრის განცხადება წავიკითხეთ, ზეგ გაიმართება პოლიტსაბჭო და, ალბათ, სერიოზული კამათი იქნება თემაზე, როგორ გაგრძელდეს ჩვენი მუშაობა. ჩვენ ვართ მომხრე, ყველამ ცალკე ვიყაროთ კენჭი და მერე გავაკეთოთ კოალიცია, – განაცხადა თოფაძემ.

უკმაყოფილება არც მის სულიერ და პოლიტიკურ ძმას, ზურაბ ტყემალაძეს, ეტყობოდა.

– ეგენი ისედაც გასული იყვნენ კოალიციიდან, – აღნიშნა მედიასთან საუბარში რიგით მეორე მრეწველმა.

რესპუბლიკელების გადაწყვეტილებას მიესალმა კოალიციის დაშლის ინიციატორი თამაზ მეჭიაური. მართალია, მას კოლეგებთან ზედმეტად „მეგობრული“ დამოკიდებულება აქვს, მაგრამ მთლად ჩასაძირად ვერ იმეტებს.

მისი ვარაუდით, რესპებს საარჩევნო ბარიერის გადალახვა არ გაუჭირდებათ, რადგან სახელისუფლებო რესურსს გამოიყენებენ.

– დიდი ალბათობით, ისინი გადალახავენ ბარიერს, რადგან საკმაოდ კარგად გამოიყენეს ყველა ის სახელისუფლებო რესურსი, რომლებსაც ფლობენ. ისინი ფლობენ საკმაოდ შთამბეჭდავ თანამდებობებს, წარმოდგენილი არიან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, გამგეობებში, მერიებში, სერიოზულ სამინისტროებში. მრავლად არიან იქ უმრავლესობაში. ასევე მეორე პოზიციას ფლობენ ყველა სამინისტროში, მომხრეები ჰყავთ დასაქმებული და, აქედან გამომდინარე, არ გაუჭირდებათ ბარიერის გადალახვა მომავალ არჩევნებში.

პატივს ვცემ ამ გადაწყვეტილებას, დამოუკიდებლად მიიღონ მომავალ არჩევნებში მონაწილეობა. თუმცა, ამ პარლამენტში როგორ წარმოუდგენიათ კოალიციური რეჟიმი, ამის თქმა მიჭირს. ერთი მხრივ, ამის გაკეთება პარლამენტში უფრო ადვილადაა შესაძლებელი. კონკრეტული თემის ირგვლივ შეიძლება მოხდეს შეთანხმება. რაც შეეხება მთავრობას, მიჭირს ამის წარმოდგენა. უკეთესი იქნება, ამაზე პრემიერ- მინისტრმა გააკეთოს განცხადება, როგორ წარმოუდგენია კოალიციურ რეჟიმში მუშაობა, თუ მთავრობა კონკურენტი პარტიის წევრებით იქნება დაკომპლექტებული, – განაცხადა თამაზ მეჭიაურმა.

ამ საკითხთან დაკავშირებით ოდნავ განსხვავებული პოზიცია აქვს ომარ ნიშნიანიძეს. მისი თქმით, რესპებმა ხელისუფლებაში ყოფნით კარგად ისარგებლეს და ამან მათში ზედმეტი ამბიციები გააჩინა.

დეპუტატის მტკიცებით, რესპუბლიკური პარტია ის თამრო აღარ არის, რაც 2012 წელს იყო.

– რესპუბლიკური პარტია აღარაა ის პარტია, რომელიც 2012 წელს იყო. მათ ხელისუფლებაში ყოფნით კარგად ისარგებლეს. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე უკვე საკმაო ძალა ჰყავთ წარმოდგენილი. მათ, ალბათ, გაუჩნდათ განცდა, რომ დამოუკიდებლად მეტის მიღება შეუძლიათ, ვიდრე კოალიცია სთავაზობდა, მაგალითად, კვოტებს, – აღნიშნა ნიშნიანიძემ.

დეპუტატი ნუკრი ქანთარია იმედოვნებს, რომ ეს პარლამენტი ისე ამოწურავს თავის თავს, სპიკერის ჩამოლაბორანტება საჭირო არ გახდება.

– არაფერი არ არის იმაში დრამატული, რომ კოალიცია ამოწურავს ნელ-ნელა თავის თავს და ყველა თავის ბარგი-ბარხანით გაუდგება გზას, თუმცა საზოგადოებისთვის უფრო ადვილი იქნება არჩევანის გაკეთება...

ჩვენ დავით უსუფაშვილი არ აგვირჩევია რესპუბლიკელების კვოტიდან გამომდინარე. ავირჩიეთ მისი თვისებებიდან გამომდინარე. არ მგონია, რომ მან ახლა დაიწყოს ვიწრო-პარტიული ინტერესების გატარება ამ დარჩენილ დროში. თუ ეს ტენდენცია შეინიშნება, სხვა გადაწყვეტილებას მივიღებთ – როგორც ავირჩიეთ, ისე გადავირჩევთ, მაგრამ, არ მგონია, რომ საქმე აქამდე მივიდეს. ამას ვამბობ ხაზგასმით, – განაცხადა ნუკრი ქანთარიამ.

* * *

31 მარტის ამბებს დიდი სიხარულით შეხვდნენ ნაციონალები. საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი დავით ბაქრაძე ამბობს, რომ ეს „ქართული ოცნების“ დასასრულის დასაწყისია.

დავით ბაქრაძის განცხადებით, ის, რომ რესპუბლიკური პარტია ინარჩუნებს მინისტრების პორტფელებს და, ამავე დროს, მიდის ოპოზიციაში, გახლავთ, უბრალოდ, საზოგადოების თვალის ახვევა.

– „ქართული ოცნების“ დაშლა, რომელიც დღეს დაიწყო, ლოგიკურად გაგრძელდება და აუცილებლად დასრულდება „ქართული ოცნების“ საბოლოოდ ჩამოშორებით ხელისუფლებიდან 2016 წლის ოქტომბრის არჩევნებზე.

ჩვენი ამოცანა იქნება, მივიდეთ არჩევნებამდე მშვიდობიანად, ჩავატაროთ არჩევნები დემოკრატიულად და ქართველ ხალხთან ერთად ისტორიას ჩავაბაროთ ის პარტია, რომელმაც ქვეყანას გაჩერებისა და ლუსტრაციის მეტი ვერაფერი მოუტანა, – განაცხადა ბაქრაძემ.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

სანდრო ბრეგაძე: „ხიდაშელი უნდა გადადგეს!“

ნონა ცაბაძე

სახელმწიფო მინისტრის ყოფილმა მოადგილე სანდრო ბრეგაძემ პრემიერ-მინისტრს თავდაცვის მინისტრის სასწრაფოდ გადაყენება მოსთხოვა. რატომ ითხოვს ბრეგაძე თინა ხიდაშელის გადაყენებას? რა ინფორმაციებს ფლობს რესპუბლიკელების გეგმებთან დაკავშირებით? – „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს **სანდრო ბრეგაძე** პასუხობს.

– ბატონო სანდრო, თქვენ პრემიერ-მინისტრს თავდაცვის მინისტრის გადაყენების მოთხოვნით მიმართეთ. რატომ, რას აშავებს თავდაცვის მინისტრი?

– რესპუბლიკელები აპირებენ არჩევნებში დამოუკიდებლად გასვლას, მაგრამ ისინი რჩებიან კოალიციაში. ამ დარჩენას კი აქვს ერთადერთი მიზანი.

– რა მიზანი?

– ის, რომ მათ შეინარჩუნონ თანამდებობები, მინისტრის პორტფელები და საპარლამენტო თანამდებობები. რესპუბლიკელები გაყარეს, მაგრამ ისინი არ მიდიან, ბოლომდე ებღაუჭებიან სკამებს. ამ ყველაფერს კი აქვს ერთი მიზეზი, რომ თავდაცვის მინისტრი თინათინ ხიდაშელი არჩევნების პერიოდში უნდა იყოს თავის პოსტზე, რათა საჭიროების მომენტში გააკეთოს ის საქმე, რაც ნაციონალური მოძრაობის ინტერესებშია.

– რას გულისხმობთ?

– სარწმუნო წყარომ მომაწოდა ინფორმაცია, რომ ნაციონალები, თუკი მათთვის სასურველი შედეგი არ დადგა, გეგმავენ თბილისური მაიდანის მოწყობას, თინა ხიდაშელი კი გეგმავს, რომ იყოს მათ მხარეს.

– ეს ინფორმაცია საიდან გაქვთ, ან პროკურატურა არ დაინტერესდა ამით, როდესაც მსგავსი განცხადებით პრემიერ-მინისტრს მიმართეთ?

– ეს ინფორმაცია მაქვს სარწმუნო წყაროდან, ამიტომ მივმართე პრემიერს, რომ სასწრაფო წესით გადააყენოს თინათინ ხიდაშელი, რადგან ის შემჩნეულია ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ საკმაოდ ბევრ ქმედებაში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სირცხვილია, გყავდეს ისეთი თავდაცვის მინისტრი, რომელიც აფხაზეთს საქართველოს ნაწილად არ განიხილავს.

საპარლამენტო არჩევნების დროს ნაციონალების მხრიდან, დიდი ალბათობით, მოსალოდნელია არეულობის მოწყობა, ქაოსი და ეს გადაწყვეტილებები ოდესაში უკვე მიღებული აქვს მიხეილ სააკაშვილს. გეგმა უკვე შედგენილია.

– თქვენს განცხადებაში დიდ თანხებზე საუბრობდით. ისიც ხომ არ იცით, ვინ აფინანსებს?

– უკვე ორი ასეული მილიონი დოლარია ამისთვის გამოყოფილი. თანხების მობილიზება კეზერაშვილს აქვს დავალებული იმისთვის, რომ საქართველოში შედგეს რევანში, ხოლო ამ დროს თინა ხიდაშელის ყოფნა თავდაცვის მინისტრის პოსტზე არის შენელებული მოქმედების ნაღმი, რომელიც აფეთქდება ზუსტად იმ მომენტში, როდესაც ეს ნაციონალებისა და რესპუბლიკელების საერთო პატრონს დასჭირდება.

– და ამხელა თანხას კეზერაშვილი იხდის?

– სწორედ დავით კეზერაშვილი გახლავთ ის ადამიანი, რომელმაც მოიძია თანხები, ჯერ წინასაარჩევნო პერიოდისთვის, ხოლო არჩევნების შემდგომ – ქაოსისა და დესტაბილიზაციისთვის, რომელიც მათი გეგმების მიხედვით უნდა გადაიზარდოს თბილისურ მაიდანში. ჩემმა წყარომ ასევე მომაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თინა ხიდაშელი შეხვდა უცხოელ პარტნიორებს და იქაც სწორედ ამ გეგმაზე იყო საუბარი. დღეს ნაციონალები და რესპუბლიკელები ერთი მიზნისთვის იბრძვიან.

– ბატონო სანდრო, თქვენი გადადგომის შემდეგ უამრავი ინფორმაცია ვრცელდება. ბრალად დაგდეს დასმენები. ამის თაობაზე რას იტყვით?

– სულელი ხალხის სულელურ გამონათქვამებზე ნამდვილად არ ვიბაუბრებ. მე ამაზე არც კი ვბრაზდები, რადგან სულელი ადამიანი ვერაფერს დაგიშავებს.

– ღიად ასახელებენ სახელებსა და გვარებს, რომლებიც თქვენ დასმინეთ.

– გითხარით, რომ ეს ყველაფერი არასერიოზულია, სისულელეა და არასერიოზული ხალხის გამონათქვამებზე რატომ მაკეთებინებთ კომენტარებს?! ჩემ წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას მე ორ ნაწილად გავყოფდი. ერთია, რომელსაც ძალიან სერიოზულად ვუყურებ და ესენი არიან რესპუბლიკელები და ნაციონალები, ხოლო მეორე – ეს არის არასერიოზული ხალხი და მათთან საკამათო დრო არ მაქვს.

– ანუ თქვენი გადადგომის მიზეზი დასმენის თემა არ გამხდარა და პრემიერს ამის გამო არ მიუღია გადაწყვეტილება თქვენი გადაყენების თაობაზე?

– ეს, ხშირ შემთხვევაში, შეცდომაში შეყვანილი ხალხის სულელური განცხადებებია. სანდრო ბრეგაძე თუ რატომ გადადგა თანამდებობიდან, თუ თქვენ მაგაზე კითხვა კიდევ გაქვთ, მაშინ თქვენთანაც შევწყვეტ საუბარს! მთელმა ქვეყანამ იცის, მთავრობის წევრებმაც ძალიან კარგად იციან, რომ ეს იყო ჩემი პრინციპული, მორალურ-ზნეობრივი პოზიცია იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელსაც ერთნაირსქესიანთა ქორწინება ეწოდებოდა! მე რომ არ გადავმდგარიყავი თანამდებობიდან, დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ეს საკითხი საქართველოს პარლამენტში არ დადგებოდა! ჩემი პრინციპული პოზიცია დაედო საფუძვლად ამ საკითხის ბოლომდე მიყვანას.

ლიბერთი ბანკის ბრენდის დესპანებს სამი წარმატებული ახალგაზრდა შეემატა

31 მარტს ლიბერთი ბანკის სათავო ოფისში ბანკის გენერალურმა დირექტორმა ალექსი ხოროშვილმა პრესას წარუდგინა ბრენდის ახალი დესპანები: ნინო ხომერიკი – მოჭადრაკე, მზია ბებოშვილი – ძიუდოისტი და ელენე მიდელაშვილი – ასტროფიზიკოსი.

– მოხარული ვარ, წარმოგიდგინოთ ლიბერთი ბანკის ახალი დესპანები, უნიჭიერესი ადამიანები, რომლებიც მთელი შეგნებითა და კოლოსალური შრომით ცდილობენ წარმატების მიღწევას.

თითოეული ნიჭიერი ახალგაზრდის გამარჯვება და წინსვლა ჩვენი ქვეყნის მომავალი წარმატების ისტორიაა და ამიტომ ლიბერთი ბანკი მუდამ მზადაა, ხელი შეუწყოს ნებისმიერ

სფეროში მოღვაწე გამორჩეული მონდომებითა და ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდებს დასახული მიზნების მიღწევაში, იქნება ეს სპორტი, მეცნიერება თუ ხელოვნება, – განაცხადა ლიბერთი ბანკის გენერალურმა დირექტორმა ალექსი ხოროშვილმა.

ნინო ხომერიკი დაიბადა 1998 წლის 10 მარტს ქ. თბილისში. მამამისი, გიორგი ხომერიკი, საქართველოს დამსახურებული ჭადრაკის მწვრთნელი, 4 წლის ასაკიდან ყოველდღიურად წვრთნიდა მას და 5 წლისამ უკვე აქტიურად დაიწყო სატურნირო გამოსვლები.

ნინომ პირველი საჭადრაკო სერიოზული წარმატება 2007 წელს მოიპოვა, როცა საქართველოს ჩემპიონი გახდა 10 წლის გოგონებს შორის. მას შემდეგ რეგულარულად იგებს საქართველოს ჩემპიონატებს როგორც თავისი, ისე 2 წლით უფროსი ასაკის მონაწილეთა შორის. ასევე მუდმივად წარდგენილია მსოფლიოსა და ევროპის პირველობათა ხუთეულში.

2012 წელს ნინომ მსოფლიოს პირველობა სლოვენიაში მოიპოვა და ფიდეს ოსტატის წოდება მიენიჭა, 2014 წელს ბათუმში ევროპის პირველობაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა, 2015 წელს ხორვატიაში ევროპის ჩემპიონი გახდა და საერთაშორისო ოსტატის წოდება მიენიჭა, ვეიკ ან ზეეს საერთაშორისო ტურნირში დიდოსტატის ბალიც შეასრულა, რამაც კიდევ ერთი დიდი წარმატება მოუტანა.

მზია ბებოშვილი დაიბადა 1998 წლის 9 ივლისს ქ. თელავში. 2011 წლიდან დაიწყო მისი წარმატებული კარიერა ძიუდოში. 2012 წელს გახდა საქართველოს ჩემპიონი და ასევე საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი.

2013 წელს ჩაერთო ევროპის დონის შეჯიბრებებში და მიიღო მესამე ადგილი ევროპის ჩემპიონატზე. ამავე წელს გახდა საქართველოს ჩემპიონი უფროსი ასაკის მონაწილეთა შორის.

2014 წელს გახდა საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი, ევროპის თასის მფლობელი და საქართველოს ჩემპიონი. 2015 წლის დასაწყისში აიღო ევროპის ჩემპიონატის პირველი ადგილი, გახდა ევროპის თასის პრიზიორი საქართველოში ჩატარებულ ოლიმპიური ფესტივალის შეჯიბრებაზე, ხოლო ამავე წლის ბოლოს – ოლიმპიური ჩემპიონი, შევიდა მსოფლიოსა და ევროპის რეიტინგის საუკეთესო სამეულში და დასახელდა „წლის აღმოჩენად“.

ელენე მიდელაშვილი დაიბადა 1993 წლის 3 დეკემბერს თეთრიწყაროს რაიონის სოფ. საღრაშენში. სწავლობს მაგისტრატურის პირველ კურსზე, საბუნებისმეტყველო და საინჟინრო ფაკულტეტის ფიზიკისა და ასტროფიზიკის მიმართულებით; დამატებითი სპეციალობა – ფსიქოლოგია.

2008 წელს აიღო პირველი ადგილი საქართველოს მასშტაბით გამართულ ქართული ენის ლინგვისტურ კონკურსში. 2009 წელს საქართველოს პრეზიდენტისაგან დაჯილდოდა, როგორც წარჩინებული მოსწავლე.

2013-2014 წლებში ელენე გახდა სამეცნიერო-შემეცნებითი კონფერენციის „მომავალ ფიზიკოსთა ფესტივალის“ მონაწილე და სპეციალური პრიზის მფლობელი. 2015 წლიდან ის გახდა თეორიული ფიზიკის ინსტიტუტისა და ფიზიკის მოყვარულთა კლუბის სამეცნიერო-შემეცნებითი კონფერენციის „მომავალ ფიზიკოსთა ფესტივალის“ საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.

2013 წლიდან მუშაობს, როგორც მკვლევარი, თეორიული ასტროფიზიკის ცენტრში, თეორიული ფიზიკის ინსტიტუტში, ასევე, როგორც ასისტენტ-მკვლევარი – შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გრანტებში.

ამჟამად ლიბერთი ბანკს 5 დესპანი ჰყავს, მათ შორის არიან ირაკლი ბოლქვაძე – მოცურავე და ნიკოლოზ ბასილაშვილი – საქართველოს საჩოგბურთო ნაკრების წევრი.

ლიბერთი ბანკი მუდმივ მზადყოფნაშია, ნებისმიერ სფეროში, იქნება ეს სპორტი, მეცნიერება თუ ხელოვნება, აღმოაჩინოს ახალგაზრდები, რომლებიც დაუღალავად შრომობენ წარმატებისათვის და ხელი შეუწყოს მათ პროფესიულ წინსვლასა და განვითარებაში.

სოსო მანჯავიძე: „ეს რესპუბლიკელების გადაწყვეტილება არ ყოფილა“

„პარტია „ქართული ოცნების“ მიმართ ნდობა გაიზრდება“

მარიამ მჭედლიშვილი

ბოლოდროინდელ მოვლენებამდე ყველა ექსპერტი აღნიშნავდა, რომ რესპუბლიკური პარტია არაფრით დატოვებდა კოალიცია „ქართულ ოცნებას“. გუშინ, 31 მარტს, რესპუბლიკელებმა სახალხოდ განაცხადეს, რომ არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღებენ მონაწილეობას. საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი სოსო მანჯავიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ეს გადაწყვეტილება რესპუბლიკელებს დამოუკიდებლად არ მიუღიათ.

სოსო მანჯავიძე:

– რესპუბლიკელებს ეს განცხადება საკუთარი ნებით არ გაუკეთებიათ, პირიქით, ისინი ყველანაირად ცდილობდნენ, რომ ისევ პარტია „ქართული ოცნების“ გვერდით ყოფილიყვნენ და ასე გასულიყვნენ მომავალ საპარლამენტო არჩევნებშიც. მათ ამ ნაბიჯისკენ პარტია „ქართულმა ოცნებამ“ მოუწოდა. რესპუბლიკელების ლიდერები ამის საპასუხოდ არ მოერიდნენ შანტაჟს. ისინი ემუქრებოდნენ პრემიერ გიორგი კვირიკაშვილს, რომ დაშლიდნენ საპარლამენტო უმრავლესობას. ახლა ისინი უმრავლესობიდან არ გადიან და თანამდებობებსაც ინარჩუნებენ, მაგრამ არჩევნებზე ცალკე გავლენ.

– პარტია „ქართული ოცნება“ ამით რას იგებს?

– მმართველი პარტიის მიმართ ნდობა გაიზრდება. მიუხედავად იმისა, რომ პარტია „ქართული ოცნება“ დღეს უალტერნატივოა, მას მხარდაჭერის გაზრდა მაინც ესაჭიროება. მას შემდეგ, რაც ნაციონალური მოძრაობა ჩამოიშალა, შექმნილი ვაკუუმი ვერავინ შეავსო. მოსახლეობის დაახლოებით 60% და მეტი გაურკვევლობაშია. მმართველ კოალიციაში არსებული უთანხმოება ხალხის უნდობლობას იწვევდა. ფაქტია, რომ განსაკუთრებული გაღიზიანება იყო რესპუბლიკური პარტიის მიმართ. ხალხს არ მოსწონდა ამ პარტიის წევრების არაპროპორციული წარმოდგენა ხელისუფლებაში. რესპუბლიკელებისგან ჩამოცილებისა და დამოუკიდებლად გასვლის შემთხვევაში პარტია „ქართული ოცნების“ შანსები იზრდება.

– ანუ ფიქრობთ, რომ კოალიციის ყველა სუბიექტი ცალ-ცალკე მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში?

– რასაკვირველია. საარჩევნო ბლოკის შექმნაზე მათ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას მაისში გასდის ვადა. მომავალში ამ პარტიებს ერთმანეთთან არანაირი ვალდებულება არ დააკავშირებთ.

– ნაციონალური მოძრაობის ჩამოშლა ახსენეთ. ამაზე ნაადრევი ხომ არ არის ლაპარაკი?

– ნაციონალური მოძრაობის ელექტორატი დაახლოებით 10%-ია. ეს ადამიანები, სავარაუდოდ, მობილიზებული არიან. ამ პარტიის მომავალი დამოკიდებულია იმაზე, თუ მთლიანობაში რამდენი ამომრჩეველი მივა საარჩევნო უბნებზე. ზოგადად, რაც მეტი ადამიანი მისცემს ხმას სხვადასხვა პარტიას, მით ნაკლებ პროცენტს მიიღებს ნაციონალური მოძრაობა. ამომრჩევლის პასიურობის შემთხვევაში ნაციონალების მობილიზებული მომხრეები უკეთეს შედეგს აჩვენებენ.

– ბოლო დროს ნაცმოძრაობა აქტიურობს ვიზალიბერალიზაციის თემაზე.

– აშკარაა, რომ ნაციონალურ მოძრაობას უნდა, როგორმე დააბრკოლოს ვიზალიბერალიზაცია. აქედან არაფერი გამოვა. საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭება, ევროინტეგრაცია არ არის დამოკიდებული მხოლოდ საქართველოზე. ეს ევროკავშირის, მთლიანად ევროსტრუქტურების გადაწყვეტილებაა. ამ კურსს ვერც საქართველოს ხელისუფლება გადაუხვევს და ვერც რომელიმე პარტია შეაფერხებს.

– არის იმის ნიშნები, რომ გიგი უგულავა, ვანო მერაბიშვილი და ბაჩო ახალაია პოლიტპატიმრებად გამოაცხადონ.

– ამის დამტკიცებას ცდილობს ნაციონალური მოძრაობა ევროპის სახალხო პარტიის დახმარებით. ამის საწინააღმდეგოდ საქართველოს მთავრობამ ევროპულ საზოგადოებას უნდა მიაწოდოს რეალური სურათი და განუმარტოს, რაშია მხილებული ეს სამეული და რატომ ვერ გახდებიან ისინი პოლიტიკური პატიმრები.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ჟალბატონი ფიქრია

ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი №1

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

1. საიდენტიფიკაციო ნომერი

204 559 691

2. მისამართი/ტელეფონი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

3. ელ–ფოსტა

Licenziebi2015@gmail.com

4. სარგებლობის ლიცენზიის სახე

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის

ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია:

ა) განახორციელოს მონიტორინგული დაკვირვებები წყლის დებიტზე, ტემპერატურასა და ქიმიურ შემადგენლობაზე;

ბ) ლიცენზიის მიღებიდან არაუმეტეს 2 (ორი) წლის ვადაში უნდა განახორციელოს წყლის მარაგების დათვლა და შესაბამის ორგანოში დასამტკიცებლად წარდგენა;

გ) მარაგების დამტკიცების შემდეგ, ლიცენზიანტი ვალდებულია, გადაიხადოს „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიის საწყისი ფასის დადგენის ფორმულით დაანგარიშებული თანხისა და ამ თანხის 10%-ის ჯამი აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასის გამოკლებით, თუ აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასი ნაკლებია მარაგების დამტკიცების შემდეგ მის მიერ გადასახდელ თანხაზე; ზემოაღნიშნული თანხის გადახდის შემდეგ ლიცენზიანტი უფლებამოსილია, განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება;

დ) მარაგების დამტკიცების შემდეგ უზრუნველყოს სანიტარული ზონების დადგენა და დაცვა;

ე) ექსპლუატაციის პერიოდში განახორციელოს მუდმივი ჰიდროქიმიურ-რეჟიმული დაკვირვებები და სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი;

ვ) ლიცეზნიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის მიმდებარე ტერიტორიის შემოღობვა;

ზ) ჭაბურღილიდან უნდა აღიკვეთის წყლის უმიზნოდ დაღვრა.

თ) მოპოვებული მიწისქვეშა მინერალური წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;

ი) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;

კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მინერალური წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მინერალური წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;

ლ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;

მ) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;

ნ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში - მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;

ო) ლიცენზიის მფლობელმა სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცებიდან და ლიცენზიაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შემდეგ ერთი თვის ვადაში სააგენტოს წარუდგინოს დასამტკიცებლად ათვისების გეგმა ყოველწლიურად მოსაპოვებელი რაოდენობის მითითებით.

პ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი

ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფ. ფერსის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მინერალური წყლის (სასმელ-სამკურნალო, ჩამოსხმის მიზნით) შესწავლა-მოპოვება.

7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა

ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფ. ფერსის მიმდებარე ტერიტორია

8. აუქციონის საწყისი ფასი

10 000 ლარი

9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)

1 000 ლარი

10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი

5 200 ლარი

11. აუქციონში მონაწილეობის მიღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 1 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 3 მაისს დღის 18:00 საათზე

12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 3 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 3 მაისს დღის 18:00 საათზე

13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა

25 წელი

14. სხვა მონაცემები

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი №2

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

1. საიდენტიფიკაციო ნომერი

204 559 691

2. მისამართი/ტელეფონი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

3. ელ–ფოსტა

Licenziebi2015@gmail.com

4. სარგებლობის ლიცენზიის სახე

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის

ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია:

ა) განახორციელოს მონიტორინგული დაკვირვებები წყლის დებიტზე, ტემპერატურასა და ქიმიურ შემადგენლობაზე;

ბ) ლიცენზიის მიღებიდან არაუმეტეს 2 (ორი) წლის ვადაში უნდა განახორციელოს წყლის მარაგების დათვლა და შესაბამის ორგანოში დასამტკიცებლად წარდგენა;

გ) მარაგების დამტკიცების შემდეგ, ლიცენზიანტი ვალდებულია, გადაიხადოს „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე„ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიის საწყისი ფასის დადგენის ფორმულით დაანგარიშებული თანხისა და ამ თანხის 10%-ის ჯამი აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასის გამოკლებით, თუ აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასი ნაკლებია მარაგების დამტკიცების შემდეგ მის მიერ გადასახდელ თანხაზე; ზემოაღნიშნული თანხის გადახდის შემდეგ ლიცენზიანტი უფლებამოსილია, განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება;

დ) მარაგების დამტკიცების შემდეგ უზრუნველყოს სანიტარული ზონების დადგენა და დაცვა;

ე) ექსპლუატაციის პერიოდში განახორციელოს მუდმივი ჰიდროქიმიურ-რეჟიმული დაკვირვებები და სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი;

ვ) ექსპლუატაციის შემთხვევაში უნდა აღიკვეთის წყლის უმიზნოდ დაღვრა.

ზ) მოპოვებული მიწისქვეშა მინერალური წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;

თ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;

ი) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მინერალური წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მინერალური წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;

კ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;

ლ) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატნის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;

მ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;

ნ) ლიცენზიის მფლობელმა სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცებიდან და ლიცენზიაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შემდეგ ერთი თვის ვადაში სააგენტოს წარუდგინოს დასამტკიცებლად ათვისების გეგმა ყოველწლიურად მოსაპოვებელი რაოდენობის მითითებით.

ო) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, სოფ. კობის მიმდებარე ტერიტორია, დაბალი მინერალიზაციის წყლის შესწავლა-მოპოვება.

7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, სოფ. კობის მიმდებარე ტერიტორია

8. აუქციონის საწყისი ფასი

10 000 ლარი

9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)

1 000 ლარი

10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი

5 200 ლარი

11. აუქციონში მონაწილეობის მიღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 1 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 3 მაისს დღის 18:00 საათზე

12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 3 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 3 მაისს დღის 18:00 საათზე

13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა

25 წელი

14. სხვა მონაცემები

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ვახტანგ ხმალაძე: „პარტია „ქართულ ოცნებას“ კოალიციურ პარტნიორებთან გარკვეული უხერხულობა ჰქონდა“

ვახტანგ ხმალაძის განმარტებით, არჩევნებში მათი პარტიის დამოუკიდებლად მონაწილეობა ბევრი ფაქტორიდან გამომდინარე გადაწყდა.

როგორც ხმალაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, არჩევნებამდე რესპუბლიკელები პარლამენტსა და მთავრობაში კოალიციურ თანამშრომლობას განაგრძობენ.

– გადაწყვეტილება ბევრი ფაქტორის გამო მივიღეთ. აშკარად იგრძნობოდა კოალიციის დომინანტი კომპანიონის, პარტია „ქართული ოცნების“ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის სურვილი.

როგორც ჩანს, გარკვეული უხერხულობა ჰქონდათ მათ კოალიციურ პარტნიორებთან. მათი ეს სურვილი დღეს უკვე დადასტურდა. გარდა ამისა, სხვადასხვა ტიპის პრობლემა ჩნდებოდა ჩვენ შორის. მაგალითად, რიგ საკითხებში განსხვავებული ხედვები გვქონდა. მთლიანობაში ჩვენ მივიჩნიეთ, რომ უმჯობესია არჩევნებში დამოუკიდებლად მივიღოთ მონაწილეობა, თუნდაც იმიტომ, რომ ბოლო მოეღოს სპეკულაციას იმ თემაზე, შეუძლიათ თუ არა რესპუბლიკელებს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის მიღება.

არჩევნებამდე ჩვენ პარლამენტსა და მთავრობაში გავაგრძელებთ კოალიციურ თანამშრომლობას იმისთვის, რომ არ შეიქმნას პოლიტიკური კრიზისი. გარდა ამისა, ჩვენ პირობა მივეცით ამომრჩეველს და ამ პირობას შევასრულებთ. ჩვენი სამი მინისტრი აგრძელებს მუშაობას იმ სამთავრობო პროგრამის შესასრულებლად, რომელიც დაამტკიცა პარლამენტმა, – განაცხადა ვახტანგ ხმალაძემ.

სოსო ცინცაძე: „ქართულ ოცნებას“ მარტო გაუჭირდება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნებისა“ და რესპუბლიკელების შანსებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ პარტია „ქართული ოცნება“ დამოუკიდებლად იყრის კენჭს. ეს ნიშნავს თუ არა, რომ კოალიცია დაიშალა?

– თუ ცხოვრებაში ეს გატარდა, რასაკვირველია, ეს ნიშნავს, რომ კოალიცია დაიშალა. თუმცა, პარტია „ქართულ ოცნებას“ არ აქვს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის გამოცდილება. ამიტომ მათ ძალიან დიდი მუშაობა მოუწევთ როგორც საარჩევნო სიის ფორმირების თვალსაზრისით, ისე ამომრჩეველთან. ბიძინა ივანიშვილის პირადი რესურსის გამოყენების შემთხვევაშიც, ვფიქრობ, პარტია „ქართულ ოცნებას“ დამოუკიდებლად გაუჭირდება კვალიფიციური უმრავლესობის მოპოვება პარლამენტში. თუმცა, შეიძლება მოხდეს პატარა პარტიებთან გარკვეული გარიგება და ასე მოაგროვონ პარლამენტში უბრალო უმრავლესობა.

– დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ რესპუბლიკელები „ქართულ ოცნებასთან“ პარტნიორობა-კონკურენციის რეჟიმში გადადიან, ამ ფონზე კი მთავრობაში რჩებიან რესპუბლიკელი მინისტრები. როგორ ხსნით ამას?

– პარტნიორობა-კონკურენციის რეჟიმი ქართულ პოლიტიკაში არ არსებობს. ეს, უბრალოდ, წარმოუდგენელია. ეს ან გულუბრყვილობაა, ან პოლიტიკური ეშმაკობა. პარტნიორობა-კონკურენცია ითვალისწინებს, როგორც მინიმუმ, ევროპული დონის პოლიტიკურ კულტურას, რომ არაფერი ვთქვა ამერიკულ პოლიტიკურ კულტურაზე. ქართულ პოლიტიკაში ან კონკურენტი ხარ, ან პარტნიორი, შუალედური მიდგომა არ არსებობს. ივანიშვილი არ აიტანს კონკურენტ-პარტნიორს გვერდით. მისთვის არის წყალგამყოფი, რომლის იქით არის კონკურენტი და აქეთ პარტნიორი. ეს ასეც არის.

– რის თქმა უნდოდა ამით უსუფაშვილს?

– ეს განცხადება არის სახის შენარჩუნების მცდელობა, თუ რატომ არ მიდიან დღესვე მთავრობიდან, რატომ არ ტოვებენ მინისტრის პოსტებს.

– მინისტრის პორტფელი არ ეთმობათ?

– გასამართლებელი არგუმენტი აქვთ, რომ კოალიცია არჩევნებიდან არჩევნებამდე ანუ ოთხწლიანი ვადით შედგა. თუმცა, მე ასეთი დოკუმენტი არ მინახავს. მე რამდენადაც ვიცი, საუბარი იყო წინასაარჩევნო კოალიციაზე. რატომ არ მიდიან? იმიტომ, რომ წინ არჩევნებია, სადაც დამოუკიდებლად გადიან და ამ 6 თვეს, თითო დღეს თითო თვის ფასი აქვს. ეს არის უმნიშვნელოვანესი წინასაარჩევნო პერიოდი. წარმოიდგინეთ სამი თუ ოთხი მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე, პარლამენტში ფრაქცია, რამხელა ადმინისტრაციული რესურსია წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებაში. ინტრიგა მდგომარეობს იმაში, რომ ხელისუფლებამ 6 თვე სტრატეგიული მნიშვნელობის თანამდებობები მისცა მის წინააღმდეგ ბრძოლისთვის გასაძლიერებლად მის კონკურენტს.

– რატომ ტოვებს ამ ინტრიგას ხელისუფლება?

– რომ არ გაამწვავოს სიტუაცია. თუმცა, მოზაიკა ძალიან რთულია. ყველას, მთავრობაში თუ არა, პარლამენტში მაინც, კარგად ესმის, რა არის მათთვის ცუდი და რა – კარგი.

– რესპუბლიკელები შეძლებენ 5%-იანი ბარიერის გადალახვას?

– შეიძლება გადალახონ კიდეც. მე მაინც ვფიქრობ, რომ ისინი წინასაარჩევნო ბლოკს ალასანიას თავისუფალ დემოკრატებთან შეკრავენ. არც იმას გამორიცხავ, რომ ასეთი საარჩევნო ბლოკები სხვა პარტიებმაც შექმნან. წინასაარჩევნოდ ბევრი ორ-სამ პარტიული ბლოკი შეიქმნება. ასეთ საარჩევნო ბლოკებს შექმნიან არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები. არც იმას გამორიცხავ, რომ ნაციონალებთან ჯენტლმენური გარიგება შედგეს, წინასაარჩევნო კამპანიას ერთმანეთის წინააღმდეგ არ ააგებენ და ყველამ ერთად შეუტიოს ხელისუფლებას.

– ყველა „ოცნების“ წინააღმდეგ?

– „ქართული ოცნება“ შეეცდება, პატარ-პატარა პარტიებს გადაუნაწილოს ადმინისტრაციული რესურსი, რომ ისინი შევიდნენ პარლამენტში.

– რომელ პარტიებს გულისხმობთ?

– მაგალითად, კონსერვატორებს, რომლებიც დამოუკიდებლად ვერასდროს შევლენ პარლამენტში, ასევე სოციალ-დემოკრატებს და ა.შ. მერე ამ პარტიებთან ერთად შექმნის „ქართული ოცნება“ ახალ კოალიციას.

– არჩევნების შემდეგ შემდგარი კოალიცია ხომ არის უფრო სამართლიანი?

– რასაკვირველია, ეს უფრო სამართლიანი და მისაღებია. ევროპული გამოცდილება სწორედ ასეთი კოალიციის შექმნაა. თუმცა, მე დღეს უკვე ძალიან მეეჭვება, რომ რესპუბლიკელებმა და „ოცნებამ“ პარლამენტში ახალი კოალიცია შექმნან. ასევე ეჭვი მეპარება, რომ „ოცნებამ“ ალასანიასთან შექმნას კოალიცია.

– რატომ?

– აქ უკვე წინა პლანზე მოდის პიროვნული ფაქტორი. მართალია, პოლიტიკაში არ არსებობს თემები, რომლებიც არ იყოს გადალახვადი, მაგრამ ამ შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილსა და თავისუფალ დემოკრატებს, უფრო სწორად, ირაკლი ალასანიას შორის ისე შორს არის წასული დაძაბულობის ვექტორი, რომ არ მგონია, ის მობრუნებადი იყოს.

– საქართველოში წინასაარჩევნო პერიოდი არც ისე მშვიდია ხოლმე, მაგრამ რამდენად შეიძლება, კიდევ უფრო დაიძაბოს მოვლენები არჩევნების წინ?

– ახლა აქცენტს ყველა ფარული პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებზე აკეთებს, მაგრამ მოულოდნელი კითხვები გაჩნდა ცესკოს მიმართ. ეს არცთუ სასიამოვნო პერსპექტივას ბადებს.

ჟოზეფ დოლი: „მიუღებელია, არჩევნების წინ მთავრობა ოპოზიციური ძალის დისკრედიტაციას ახდენდეს“

ევროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტ ჟოზეფ დოლის განცხადებით, საქართველოში რამდენიმე საკითხი შეშფოთებას იწვევს.

როგორც დოლმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, ეს საკითხებია მედიის დამოუკიდებლობა, ოპოზიციის წინააღმდეგ ძალადობა, შერჩევითი სამართალი, საარჩევნო კოდექსი, გეოპოლიტიკური სიტუაცია და კორუფცია. მისი თქმით, მიუღებელია, რომ არჩევნების წინ მთავრობა ოპოზიციური ძალის დისკრედიტაციას ახდენდეს.

ჟოზეფ დოლი:

– ჩვენ შეშფოთებული ვართ ოპოზიციის წინააღმდეგ ძალადობით, ისევე, როგორც შეშფოთებული ვართ თავშეკავებულობით მთავრობის მხრიდან, რომ გამოიძიონ და შეაჩერონ ეს ქმედებები.

ზუსტად ამ საკითხებზე მქონდა საუბარი პრემიერ-მინისტრთან. ასეთი ქმედება მთავრობის მხრიდან, რომ არჩევნების წინ ოპოზიციის დისკრედიტაცია მოახდინოს, მიუღებელია.

მისივე თქმით, სამართლებრივი სისტემა უნდა იყოს დამოუკიდებელი და არ იყოს გამოყენებული პოლიტიკური მიზნებისთვის, განსაკუთრებით კი სახელისუფლებო პარტიის მხრიდან. რაც შეეხება პრესის თავისუფლებას, როგორც ევროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტი აცხადებს, პრესის თავისუფლება არის ფუნდამენტური უფლება.

– ძალიან ნათელია, რომ იმ ქვეყანაში, სადაც არ არის პრესის თავისუფლება, დემოკრატია არ არსებობს. ჩვენ შეშფოთებული ვართ მედიის მხრივ არსებული სიტუაციით. ველოდებით სწრაფ ქმედებებს, რომ პრესა დარჩეს თავისუფალი, დამოუკიდებელი ნებისმიერ სიტუაციაში და არა მარტო არჩევნების დროს, – განაცხადა ჟოზეფ დოლმა.

მისივე თქმით, ასევე პრობლემებია საარჩევნო კოდექსის რეფორმის თვალსაზრისით.

– ამ მიმართულებას ძველებურად ვაკვირდებით. ქვეყნის განვითარებისა და მისი დემოკრატიისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არჩევნები იყოს თავისუფალი და გამჭვირვალე. ჩვენ პატივი უნდა ვცეთ დემოკრატიულ არჩევნებს, – განაცხადა ევროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტმა.

რაც შეეხება ტერიტორიულ მთლიანობას, როგორც ჟოზეფ დოლი აცხადებს, ევროპის სახალხო პარტია მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

– როგორც სუვერენული ქვეყანა, საქართველოს უნდა შეეძლოს, გადაწყვიტოს თავისუფლად თავისი გზა ისე, რომ საგარეო მხრიდან არ იყოს ამაში ჩარევა. საქართველო იქნება სტაბილური, რეფორმირებული, განვითარებული ქვეყანა, რომელსაც შეეძლება, გაუძლოს რუსულ პრესს. რუსეთს ყველაზე მეტად იმის ეშინია, რომ თქვენ გახდეთ ნამდვილი დემოკრატიული ქვეყანა, – განაცხადა ჟოზეფ დოლმა.

დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;

ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. კახათის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 1500 მ³/წელიწადში).

7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. კახათის ტერიტორია

8. აუქციონის საწყისი ფასი

49 ლარი

9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)

4,9 ლარი

10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი

225 ლარი

11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 1 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 3 მაისს დღის 18:00 საათზე

12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 3 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 3 მაისს დღის 18:00 საათზე

13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა

25 წელი

14. სხვა მონაცემები

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი №13

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

1. საიდენტიფიკაციო ნომერი

204 559 691

2. მისამართი/ტელეფონი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

3. ელ–ფოსტა

Licenziebi2015@gmail.com

4. სარგებლობის ლიცენზიის სახე

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის

ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;

ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;

დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;

ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);

თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი

ქ. მარტვილი, მშვიდობის ქუჩა, N 168, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 1 000 მ³/წელიწადში).

7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა

ქ. მარტვილი, მშვიდობის ქუჩა, N168

8. აუქციონის საწყისი ფასი

32 ლარი

9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)

3,2 ლარი

10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი

216 ლარი

11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 1 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 3 მაისს დღის 18:00 საათზე

12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 3 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 3 მაისს დღის 18:00 საათზე

13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა

25 წელი

14. სხვა მონაცემები

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ლიდერთა ტურის მოლოდინში

გორი ცენტრალურ მატჩს მასპინძლობს

დღეს იწყება საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ტურირ. მიხეილ მესხზე ერთმანეთს ლოკომოტივი და საპოვნელა დაუპირისპირდებიან, ხოლო ტურის დანარჩენი მატჩები ხვალ გაიმართება.

1 აპრილი

ლოკომოტივი-საპოვნელა

თბილისი. მიხეილ მესხი

ორივე გუნდი უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის. ლოკომოტივი მოგების შემთხვევაში კონკურენტებს დაუსხლტება და საქმეს გაიიოლებს, ხოლო საპოვნელა 3 ქულის აღების შემთხვევაში კონკურენციას კიდევ უფრო დაძაბავს.

ვნახოთ, ლოკომოტივის ახალგაზრდული გუნდი მოიგებს თუ თერჯოლელთა უფრო გამოცდილი.

2 აპრილი

დილა-სამტრედია

გორი. თენგიზ ბურჯანაძე

ტურის ცენტრალური მატჩი. ერთმანეთს მე-2-3 ადგილებზე მყოფი გუნდები ხვდებიან და, რომ იტყვიან, 6-ქულიანი მატჩია. ერთია, ჩემპიონატის დასრულებამდე კიდევ რჩება დრო და კონკრეტულად ამ მატჩის შედეგი ჯერ ვერაფერს გადაწყვეტს, მაგრამ მოგებულ გუნდს საქმეს გაუიოლებს.

დილამ მეორე წრე ცუდად დაიწყო, მაგრამ შემდეგ უკვე თბილისის დინამოს მოუგო სტუმრად და ყველას დაანახა, რომ მათი ჩამოწერა ნაადრევია. სამტრედია კი მეორე წრეში ათამაშდა და მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა საქმე. ახალგაზრდული გუნდი ევროსაგზურების მოპოვების ერთ-ერთი უმთავრესი პრეტენდენტია.

დინამო (ბთ)-დინამო (თბ)

ქოგულეთი. ჩელე არენა

კიდევ ერთი გამორჩეული მატჩი ტურში. თბილისელები ცხრილში მშვიდად არიან და ჩემპიონობას ვერავინ შეეცილება, მაგრამ დინამოელთა დერბი ყოველთვის საინტერესოა. ამასთან, ზღვისპირელებს ქულები სჭირდებათ, რათა კიდევ ერთხელ გავიდნენ ევროარენაზე.

ეს გუნდები დიდი ხანია და კარგად იცნობენ ერთმანეთს. საქართველოს ჩემპიონატის ეგიდით ჩატარებული 48 მატჩიდან 34-ჯერ მტკვრისპირელებმა იზეიმეს გამარჯვება, 8 შეხვედრა დასრულდა ფრედ, ხოლო 6 დაპირისპირებიდან ზღვისპირელები გამოვიდნენ გამარჯვებულები. გატანილი და გაშვებული ბურთების ბალანსია 102:42 თბილისელთა სასარგებლოდ.

ბოლო შეხვედრა ამ გუნდებს შორის, რომელიც 2015 წლის 3 აპრილს თბილისში, დინამო არენაზე გაიმართა, ოთარ კიტეიშვილის გოლითა და დედაქალაქელთა გამარჯვებით 1:0 დასრულდა.

საბუსთალო-შუქუა

თბილისი. მიხეილ მესხი 2

ცხრილის შუაგულში მოკალათებულ მეტოქეებს განსაკუთრებული ამბიცია არ აქვთ. ორივე გუნდმა თავისი პროგრამა მიმდინარე სეზონში გადაჭრა და ახლა გულშემატკივართა გულის მოგებაზე აგრძელებენ თამაშს.

მეხანი-სიონი

მარტვილი. მურთაზ ხურცილავა

განსხვავებული ამოცანების მქონე გუნდების მატჩი საინტერესო უნდა გამოდგეს. მერანს ქულები ელიტაში დასარჩენად სჭირდება, – სიონს – ევროტურნირებზე გასასვლელად.

აქედან გამომდინარე, მარტვილში უშეღავათო ბრძოლის მომსწრენი უნდა გავხდეთ.

ზუგდიდი-გუჩია

ზუგდიდი. ბაიას ბაზა

მეგრულ კლუბს ყველაზე ცუდად აქვს საქმე. გუნდი ბოლო ადგილზე და თუ საშინაო მატჩში ქულების მარაგი ვერ შეავსო, ელიტაში დარჩენა ძალიან გაუჭირდება. თავის მხრივ, არც ლანჩხუთელებს აქვთ ჯერ გადაწყვეტილი ყველაფერი და ისინიც ადგილის შესანარჩუნებლად ბოლოადგილოსანთან ქულების დაკარგვას არ გეგმავენ.

ტოხპედო-ჩიხუა

ქუთაისი. რამაზ შენგელია

ჩიხურამ მეორე წრეში ძალიან მოუმატა და საჩხერულ გუნდს შანსი გაუჩნდა, ევროსაგზური მოიპოვოს. ტორპედო კი ცხრილის შუაგულშია და მათი პრეტენზიები ამ სეზონში მეტს ვერ გასწვდება.

ყოლხეთი-ცხინვალი

ფოთი. პარკი არენა

ფოთელები საშინაო არენას დაუბრუნდნენ და წარმატებითაც. საკუთარ ქალაქში ერთი მატჩი გამართეს და ტორპედოს მოუგეს. ამ შეხვედრაში კი ქულები უფრო ცხინვალს სჭირდება, რათა ევროსაგზურისთვის მებრძოლ გუნდებს კიდევ უფრო არ ჩამორჩნენ.

1.დინამო (თბ)	21	18	1	2	56-18	55
2.სამტრედია	21	14	2	5	50-24	44
3.დილა	21	13	5	3	35-16	44
4.სიონი	21	11	6	4	39-22	39
5.ჩიხურა	21	11	4	6	38-18	37
6.ცხინვალი	21	10	7	4	37-24	37
7.დინამო (ბთ)	21	10	6	5	33-20	36
8.შუქურა	21	8	6	7	21-20	30
9.ტორპედო	21	8	6	7	30-30	30
10.საბურთალო	21	7	4	10	31-48	25
11.ყოლხეთი	21	6	4	11	16-25	22
12.ლოკომოტივი	21	4	5	12	21-29	17
13.გურია	21	3	8	10	17-34	17
14.საპოვნელა	21	3	3	15	14-47	12
15.მერანი	21	3	3	15	18-49	12
16.ზუგდიდი	21	1	6	14	15-47	9

თბილისურმა დერბიმ თასის ნახევარფინალისტი გამოავლინა

დინამო – ვითა 86:80 (ოტ)

(15:26; 20:13; 24:16; 16:20; 11:5)

სუპერლიგის მეოთხეადგილოსანმა დინამომ პირველი ლიგის მონაწილე ვითას ოვერტაიმში 86:80 მოუგო და საქართველოს თასის გათამაშების ნახევარფინალში გავიდა.

მეოთხედფინალური მატჩი დიდად პრინციპული იყო, რადგან მას უნდა გამოეჩინა ვითიბი ლიგაში მოასპარეზე ერთადერთი ქართული გუნდის რეალური ძალა სუპერლიგასთან მიმართებით. დინამომ ეს გამოცდა წარმატებით ჩააბარა და დამსახურებულად მოიპოვა საქართველოს თასის გათამაშების ნახევარფინალის საგზური.

სათქმელია, რომ ეს მატჩი თანაბრად შეეიძლებოდა მოეგო როგორც ერთ, ისე მეორე გუნდს. თამაშის ძირითადმა დრომ უძლიერესი ვერ გამოავლინა. მიუხედავად იმისა, რომ ვითელებმა სადებიუტო ლიდერობა მოიპოვეს და საწყისი პერიოდი 26:15 მოიგეს, მეორე პერიოდიდან დინამოელები ამოქმედდნენ და დიდი შესვენებისთვის ჩამორჩენა 4 ქულამდე შეკვეცეს – 34:39.

მეორე ნახევრიდან დინამოელებმა ჯუევალ მაილსის შედეგიანობით იხეირეს და ანგარიში ჯერ გაათანაბრეს, დარჩენილ დროში მეტოქეს ტოლი აღარ დაუდეს. ვითა ირაკლი ჩლაიძის, ბექა წივწივაძის და ანდრე ჯონსის შედეგიანობის წყალობით ლიდერობას ინარჩუნებდა, მაგრამ ძირითადი დროის ბოლო წამებამდე თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა, რომელიც ფრედ – 75:75 დასრულდა.

დამატებით ხუთწუთეულში გიორგი შარაბიძისა და მაილსის ზუსტი სროლების წყალობით დინამოელებმა ხელჩასაჭიდი უპირატესობა მოიპოვეს და თასის ნახევარფინალური საგზურის მოპოვება რეალობად აქციეს. საბოლოოდ დინამომ 86:80 გაიმარჯვა.

გამარჯვებულებს 25 ქულით, 8 მოხსნით და 7 პასით ჯუევალ მაილსმა ულიდერა. 13 ქულა მოაგროვა ილია ლონდარიძემ, ხოლო 12 – გრიგოლ შვანგირაძემ. ვითაში 23 ქულით და 10 მოხსნით ანდრე ჯონსი გამოირჩა, ხოლო ირაკლი ჩლაიძემ 20 ქულა მიითვალა.

დინამო თასის გათამაშების ნახევარფინალშია და სატიტულო მატჩი გასასვლელად რუსთავს დაუპირისპირდება. ერთი ფინალისტი კი უკვე ნაცნობია და ეს საკალათბურთო გუნდი სოხუმია.

საქართველოს ბერძნულ-რომაული ნაკრების ბულგარული წარმატება

საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით ნაკრები ბულგარულ რუსეში მიმდინარე ევროპის 23-წლამდელთა ჩემპიონატზე წარმატებულ გამოსვლა გააგრძელა. ჩვენმა ნაკრებმა შეჯიბრების მეორე დღეს 4 წონაში 3 მედალი მოიპოვა – 2 ოქრო და 1 ვერცხლი. ევროპის ჩემპიონები გელა ბოლქვაძე (75) და იაკობ ქაჯაია (130) გახდნენ, ვერცხლის მედალს კი თორნიკე ჯანგავაძე (66) დაეუფლა.

მსოფლიოს ჩემპიონმა ახალგაზრდებში ბოლქვაძემ ფინალამდე 3 შეხვედრაში გაიმარჯვა. ლიტველი მინდაუგას სურმანიტისი 8:0, მეოთხედფინალში იტალიელ ლუკა დარიოცი 8:0 და ნახევარფინალში უნგრელი ზოლტან ლევაი 7:2 დაამარცხა, ფინალში კი შვედ მიშელ ბიურბერგს 2:0 მოუგო.

ფინალამდე სამი მეტოქე დაამარცხა მძიმეწონოსანმა ქაჯაიამაც. მან ლატვიელი ულდის გლაზინისი 48 წამში სუფთად დაამარცხა, მეოთხედფინალში გერმანელ კრისტიან ჯონს 8:0 მოუგო, ნახევარფინალში კი რუსეთის სახელით მოასპარეზე ზურაბ გედეხაურს 4:0 აჯობა. ფინალში ჩვენებურის მეტოქე უკრაინელი ვლადისლავ ვორონი იყო, რომელსაც იაკობმა 1:56 წუთში აშკარა უპირატესობით მოუგო – 10:2.

ჯანგავაძემ პირველ შეხვედრაში საფრანგეთის წარმომადგენელი ჰრაჩ მალხასიანი 2:53 წუთში აშკარა უპირატესობით 10:0 დაამარცხა, მერვედფინალში ზუსტად 5 წუთი დასჭირდა შვედი ოსკარ ერლანდსონის დასაჯაბნად – 9:0, მეოთხედფინალში სერბ მატე ნემეს 5:2 სძლია, ნახევარფინალში კი 2:09 წუთში იოლად გაუსწორდა ბულგარელ სიმეონ დარუიშს 8:0. ფინალში ჯანგავაძე პოლონელ მატეუს ბერნატეკთან 0:8 დამარცხდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

ჯამში საქართველოს ნაკრებმა ბულგარეთს ქალაქ რუსეში 29-30 მარტს გამართულ ევროპის 23-წლამდელთა ჩემპიონატზე 3 ოქროს, 2 ვერცხლის, 1 ბრინჯაოს მედალი და გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა.

საქართველოს ნაკრებმა გუნდურ ჩათვლაში 63 ქულით პირველი ადგილი დაიკავა და ქულათა დიდი სხვაობით უკან ჩამოიტოვა უნგრეთისა (43) და აზერბაიჯანის ნაკრებები (38).

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

საფეხბურთო სამყარო და სპორტული მედია აკაკი დევაძის მხარდასაჭერად გაერთიანდა

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, ფეხბურთის ფედერაციისა და საინიციატივო ჯგუფის ძალისხმევით გაიმართა საქველმოქმედო მატჩი საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მეკარის აკაკი დევაძის მხარდასაჭერად.

ვეტერანმა ფეხბურთელებმა სპორტული ჟურნალისტების, სპორტსმენების, სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელებისა და მსახიობ-მუსიკოსთა გუნდს 16:5 სძლიეს. საქველმოქმედო შეხვედრაში ვეტერანთა შორის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა, ეროვნული გუნდის ექსკაპიტანმა გიორგი ნემსაძემ, ლევან ცქიტიშვილმა, ოთარ ხიზანეიშვილმა, ირაკლი ზოიძემ, მამუკა მაჭავარიანმა და ოთარ გაბელიამ ითამაშეს, მეტოქე გუნდში კი – მსოფლიოს ჩემპიონმა ჭიდაობაში, საქართველოს 2015 წლის საუკეთესო სპორტსმენმა ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა, მსახიობმა ბესო ბერულაშვილმა, ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა დავით ქევხიშვილმა, ასევე საფეხბურთო ჟურნალისტებმა.

მატჩის მიმდინარეობისას დარბაზში აკაკი დევაძე შევიდა და ფეხბურთელებს, ჟურნალისტებსა და მაყურებლებს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

დევაძე დღემდე ერთადერთი მეკარეა, რომელმაც საქართველოს წლის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული მოიპოვა. ეს 1995 წელს მოხდა, როცა იმხანად რუსეთის როსტსელმაშის მოთამაშემ გაზეთ „სარბიელის“ გამოკითხვაში გაიმარჯვა.

აკაკი დევაძემ ეროვნულ გუნდში ოცჯერ ითამაშა, პირველად 1992 წლის 2 სექტემბერს, ლიტვის ნაკრების წინააღმდეგ, უკანასკნელად კი 2005 წლის 30 მარტს – თურქეთთან.

დევაძეს ღვიძლზე გადაუდებელი ოპერაცია სჭირდება და რადგან ოპერაცია თურქეთში უნდა გაკეთდეს, მკურნალობა სოლიდურ თანხასთანაა დაკავშირებული. ვეტერანი მოთამაშის დასახმარებლად საქართველოს ბანკში გახსნილია სპეციალური ანგარიში. თანხის ჩარიცხვა ყველა მსურველს შეუძლია:

საქართველოს ბანკის კოდი:
BAGAGE 22
მიმღების ანგარიშის ნომერი:
GE52BG0000000692294500
თანხის ჩარიცხვა შეუძლიათ ასევე მაგთის, ჯეოსელისა და ბილაინის აბონენტებს.
ნომერი: 0 901 901 981 – ზარის ღირებულებაა 1 ლარი.

ხაზგასასმელია, რომ აკაკი დევაძის სამკურნალოდ დახმარება გაიღეს ძიუდოს, კალათბურთის, ძალოსნობისა და ხელბურთის ეროვნულმა ფედერაციებმა, ასევე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ, ფეხბურთის ფედერაციამ, ვეტერანმა ფეხბურთელებმა.

საქართველოს ნაკრების ყოფილი მეკარის დასახმარებლად მის ფონდში თანხა უკვე გადარიცხეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ, ვიცე-პრემიერმა და საქართველოს ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა კახა კალაძემ.

დევაძის მხარდამჭერ აქციაში ჩართულნი არიან ჯანდაცვის სამინისტრო, ძიუდოს, ხელბურთის, კალათბურთისა და ძალოსნობის ეროვნული ფედერაციები.

აკაკი დევაძე:

– ყველას ძალიან დიდი მადლობა – ვინც აქ მოვიდა, ვინც მხარს მიჭერს და ვინც ჩემი გამოჯანმრთელებისთვის ყველაფერს აკეთებს. ავადმყოფობის გამო ლაპარაკიც ძალიან მიჭირს, მაგრამ ეს სიტყვები რომ არ მეთქვა და ჩემი მხარდამჭერებისთვის მადლობა რომ არ გადამეხადა, არ შეიძლებოდა. მინდა, ფეხბურთელებთან და გულშემატკივრებთან ერთად მადლობა გადავუხადო სპორტულ ჟურნალისტებსაც.

ლევან კობიაშვილი:

– შეიკრიბნენ ადამიანები, რომლებიც აკაკისთან ერთად ეროვნულ ნაკრებში წლების განმავლობაში თამაშობდნენ, მასთან მეგობრობენ და მას მხარს უჭერენ. მინდა მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომლებიც დღეს აქ მობრძანდნენ, განსაკუთრებით კი – მედიის წარმომადგენლებს. დარწმუნებული ვარ, ერთიანი ძალებით შევძლებთ და მოვაგროვებთ იმ თანხას, რომელიც აკაკის დასახმარებლად არის საჭირო. ამისთვის ყველაფერს ვაკეთებთ და ეს დღეც მის მხარდაჭერას ემსახურება.

ტარიელ ხეჩიკაშვილი:

– პირველ რიგში, მინდა, აკაკის ყველა მეგობარსა და გულშემატკივარს თანადგომისკენ მოვუწოდო. ეს არის სოლიდარობის გარკვეული ტესტი და, დარწმუნებული ვარ, ამ ტესტს ღირსეულად ჩავაბარებთ, აკაკი კი გამოჯანმრთელდება, დაუბრუნდება საკუთარ ოჯახს, საფეხბურთო სამყაროს და კვლავ გააგრძელებს საყვარელ საქმეს.

მკურნალობა მამაკაცებისთვის!

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ **593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).**
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

ფაჩულიამ და დალასმა საჭირო მატჩი მოიგეს

დალას მავერიკსმა მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. მეტოქე აღმოსავლეთ კონფერენციის ერთ-ერთი სუსტი წარმომადგენელი ნიუ იორკი გახლდათ, თუმცა დალასელებს ახლა ისე უჭირთ, რომ ამ უკანასკნელის დამარცხებაც კი დიდ ძალისხმევად უჯდებათ.

მატჩის დასრულებამდე 7 წუთით ადრე დალასი 8 ქულით აგებდა, მაგრამ დასკვნით ეპიზოდში მასპინძლებმა შედეგიანად ითამაშეს და ჯეი-ჯეი ბარეას წინამძღოლობით გამარჯვებამდე მივიდნენ – 91:89. ტეხასელთა დამაწინაურებელი ბურთი მატჩის დასრულებამდე 49 წამით ადრე სწორედ ბარეამ ჩააგდო, რომელიც 26 ქულით დალასის ბომბარდირი გახდა.

ფაჩულია სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა. ქართველი ცენტრი მოედანზე 19 წუთით გამოჩნდა და საკმაოდ შედეგიანი იყო. ზაზამ 3-დან 2 ორქულიანი და 2-დან ორივე საჯარიმო ჩააგდო. საბოლოოდ ფაჩულიას ანგარიშზე 6 ქულა, 9 მოხსნა და 1 ჩაჭრა დაგროვდა.

37 მოგებითა და 38 მარცხით დალასი ანალოგიური შედეგის მქონე ჰიუსტონთან დასავლეთ კონფერენციიდან პლეი ოფში გამსვლელ ბოლო, მე-8 ადგილს იყოფს.

მორიგი მატჩი ტეხასელებს დეტროიტში პისტონსთან ელით.

მოამზადა მიხეილ ყორეულიანმა

განცხადებები

იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 2000კვ.მ. და 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ორივე ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 2000 კვ.მ. ფასი 3$ტელ: 593-25-54-21; ან 593 50-16-08.

მკურნალობა

● ხანგრძლივი პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სნეულებას, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს საიმედო „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

ცნობილი სექსოლოგი
გიორგი გოგბაიძე
სრულად განკურნავს
პროსტატიტსა და
სექსუალურ სისუსტეს.
ტელ: 599-25-50-50.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

რობერტ სტურუა ჟურნალისტებს გაუნაწყენდა

რეჟისორი რობერტ სტურუა ჟურნალისტებს გაუნაწყენდა. ამისი მიზეზი ახალი ამბების სააგენტოების მიერ ფულის მოთხოვნა გახდა.

რობერტ სტურუა:

– აი, ამ წუთას წავიკითხე ერთერთ ქართულ ახალი ამბების საიტზე, რომ: „ჩვენი ქსელის მასალის გამოყენებისას ფული უნდა გადაგვიხადოთო, 100 დოლარამდე, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ“.

ჩემს იდიოტურ პოსტებს გაზეთები უნებართვოდ („რად მინდა ფული!?“) რომ ბეჭდავენ, კარგია?! ერთხელ მაინც ვინმე გოგოშკა-ჟურნალისტს დაერეკა და ნებართვა ეკითხა, თუნდაც ზრდილობის გამო. თუმცა ვიცი, გათიშავს ტელეფონს და თავის გოგოშკა-დაქალს ნაზი ღიმილით გაუმხელს, რა კრეტინია ეს ბებერი. ო, როგორ ზუსტად ასახავს ეს გოგოშკა თეატრმცოდნეების არსს!

გურამ პეტრიაშვილი: „თურმე სადამდე დავცემულვართ!!!“



მწერალი გურამ პეტრიაშვილი საქართველოში ახლახან დაბრუნდა. ის 20 წლის განმავლობაში უკრაინაში ცხოვრობდა. მისი ზღაპრების მიხედვით ახმეტელის თეატრში სპექტაკლიც დაიდგა, სადაც მთავარი როლი, მეზღაპრე, თავად განასახიერა.

მწერლის მოღვაწეობა და წარსული ფართო საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი. გურამ პეტრიაშვილი ყოველთვის ხმამაღლა ამბობდა, რომ მას უსამართლოდ მოექცნენ და მრავალი უბედურება და გაჭირვება გადაიტანა.

გურამ პეტრიაშვილი:

– ყველამ იცის, რომ მრავალი უბედურება, გაჭირვება და ტანჯვა გადავიტანე და ეს ყველაფერი – ბოროტი ადამიანების გამო.

მაგრამ ვფიცავ მშობლების საფლავებს, ჩემს შვილებსა და შვილიშვილებს, რომ იმ ბოროტთა შვილებზე არასოდეს ცუდ ფიქრს არ გაუვლია ჩემს გონებაში.

თუ რატომღაც დედა არ მოგწონთ, შვილს რას ერჩით? ან კი რატომ არ მოგწონთ დედა? რა დაგიშავათ?

თქვენი ავი სიტყვებითა და ქილიკით პირველად შევძრწუნდი ჩემს ცხოვრებაში.

თურმე სადამდე დავცემულვართ!!!

მეტს ვეღარაფერს ვიტყვი: ვაგლახ და ვაჰმე!

„რუსთავის“ სოლისტს კულტურის სამინისტრომ კონცერტი არ დაუფინანსა

ანსამბლ „რუსთავის“ წევრ დათო გველესიანს კულტურის სამინისტრომ კონცერტის დაფინანსებაზე უარი უთხრა. მომღერალ თემურ თათარაშვილისა და კომპოზიტორ ქეთი გაბისიანის შემდეგ მიხეილ გიორგაძის უწყებისგან უარი „რუსთავის“ მომღერალმაც მიიღო.

ინფორმაცია ამის შესახებ დათო გველესიანმა თავად გაავრცელა:

– კულტურის სამინისტრომ უარი განაცხადა ჩემი კონცერტის თანადაფინანსებაზე. ხალხისთვის მინდოდა ეს კონცერტი, რომელსაც ერქვა „მუსიკოთერაპია: სიყვარული!“. დიდი „მადლობა“ მინდა გადავუხადო მათ ამ საჩუქრისთვის და ხმამაღლა ვაცხადებ!! არცერთ მათ პროექტში აღარ მივიღებ მონაწილეობას არც მარტო და არც ანსამბლ „რუსთავთან“ ერთად, თუნდაც ეს სამსახურის



დაკარგვად დამიჯდეს!!!

არანაირი ახსნა არ ყოფილა... პირდაპირ უარის წერილი მოვიდა. ამ სამინისტროს დანიშნულებაა მხოლოდ ჯაზ-პროექტების დაფინანსება, ისიც ყველასათვის ნაცნობი კომპანიის მიერ მოწყობილის, ყოველწლიურად ასობით ათასი ლარის ოდენობით...

როცა მათ ვჭირდებით, ნაყინის ფულად მივდივართ საზღვარგარეთ და მთელ ენერგიას ვდებთ კონცერტებში. ერთხელ ჩინეთში მათ დაგეგმილ კონცერტებში 50 დოლარი გადაგვიხადეს და მადლობაც არავის უთქვამს!!!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სერტიფიცირებული კოსმეტოლოგი მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. სასულიერო მოსამართლე მუსლიმურ ქვეყნებში; 2. საყანედ გაკაფული ტყის ნაწილი; 3. სამღებრო ძველ თბილისში; 4. პატარა მდინარე; 5. თბილისელი სახალხო მკურნალი, დასტაქარი; 6. ემილ ზოლას რომანი; 7. ტბა ჯავახეთში; 10. პოპულარული არომატული, მატონიზებელი, უალკოჰოლო სასმელი; 11. სახელმწიფო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე; 12. მონასტერი რაჭაში; 13. ცხვრის ხორცისგან მომზადებული აზერბაიჯანული წვნიანი კერძი; 16. მტკვრის მარცხენა შენაკადი საქართველოში; 18. ზღვისპირა ბალნეოლოგიური კურორტი ოდესის მახლობლად; 19. ცხარე საწებელი; 21. ქართული მონასტერი კუნძულ კვიპროსზე; 24. ქალაქი არაბთა გაერთიანებულ ემირატებში.

თარაზულად: 1. უძველესი ქართული ხალხური სანახაობითი თამაში-წარმოდგენა; 3. სხივურ-კვანტური გენერატორი; 8. ყაზახეთის დედაქალაქი; 9. ჩაის ბუჩქის ნორჩი ყლორტი; 14. შვიდდღიური; 15. ყოველდღიური გაზეთი საფრანგეთში; 17. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 20. რძის პროდუქტი; 22. ეთერზეთოვანი, სურნელოვანი ყვავილი; 23. საფრანგეთში ბურჟუაზიული რევოლუციის დროს ათდღიანი კვირა; 25. კედელზე საკიდი ელექტრონათურა; 26. ოპერა „კარმენის“ კომპოზიტორი; 27. ქალაქის ტიპის დასახლება; 28. ძველი, იშვიათი წიგნებით მოვაჭრე.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 2. ევერეთი; 3. ტრავერსი; 4. იზოლატორი; 5. მზისა; 6. ასკანა; 8. ფიესტა; 11. ზვარაკი; 14. ადრენალინი; 15. დანსინგი; 16. ნობელიუმი; 17. ტაიბეი; 19. ტავერნა; 21. პიტნა; 22. წაბლი.

თარაზულად: 1. რეგტაიმი; 5. მექა; 7. ჯაფარა; 9. ჰემატოლოგია; 10. კაზრეთი; 12. ინფანტა; 13. ავოკადო; 16. ნიკოლაძე; 17. ტილი; 18. „სტელა“; 20. „სინოპეკი“; 22. წინდა; 23. გერგეტი; 24. „უემბლი“; 25. ნოინი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. „გოია“; 2. ობი; 3. ბოტანიკა; 4. გო; 5. ალკატელი; 6. ჭაჭა; 7. ტასმანი; 10. დეპო; 11. „ზავენტემი“; 12. ჰელვეცია; 13. ვანი; 16. ფეიხოა; 18. ნიქოზია; 19. „აფონია“; 21. სვავი; 24. კოშმა.

თარაზულად: 1. გუანაკო; 3. ბადაგი; 8. „ილიადა“; 9. იედო; 14. შპრეე; 15. მაკეტი; 17. ლამი; 20. კონუსი; 22. „ლოიდი“; 23. ფრესკო; 25. შჩი; 26. ხაჭო; 27. დოღი; 28. შიომღვიმე.

პროგრამა

პარასკევი 1 აპრილი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00 "მოამბე" **07.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 23.00** ტ/სერ "**დაუნტონის საბაბატო**" **12.30** "ადამიანი კამერით" **13.00** ტ/სერ "**ჩენბერ ვეტრინე**" **14.05** "წიგნების თარო" **14.30** ან/ფ "მხიარული ფერმა" **15.00** დ/ფ "ჯეიმის კერძები **30** წუთში" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ "**ქესლი**" **18.00 ძიუდო**. სამსუნის გრანპრი. ფინალური შეხვედრები. **20.30** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან" **21.00** "პროექტი ზღვარზე ტელებლოგში" **21.30** სოციალური თოქ-შოუ "რეალური სიერცე" **0.00** "კომუნიკატორი" **1.10** მხ/ფ "**ტურა**" (რ.გირი)

08.00, 10.10, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.30** "არგუმენტების დრო" **12.00** საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო"

06.30, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.15** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ოცი წუთი**" **11.20** სერ. "**დასაურული სკოლა**" **12.30** დღის შოუ **16.00** სერ. "**თანხმობა**" **17.35, 19.03** სერ. "**პაბარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** პოლიტიკა **23.30** მხ/ფ. "**სანიფაიო ბანგპოკი**" (ნ.ქეიჯი) **01.25** მხ/ფ. "**შემზარავი წინანმბრძნობა**" (ს.ბულოკი) **03.00** მხ/ფ. "**სელელი**" (ბ.მერფი) **04.30** ერთხელ საქართველოში **04.50** მხ/ფ. "**მელიებზე მონადირე**" (ვ.რედგრეივი)

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საბა**" **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.45, 20.05** სერ. "**აღთქმა**" **20.50** ლოტო **22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი **23.30** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **7 01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

9.00, 18.30 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები (გამეორება) **9.30, 15.30** Discovery - როგორ არის დედამიწა მოწყობილი **10.30, 17.30** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **11.30** შუადღე **14.00, 20.00** ცოლები და ქმრები **14.30, 19.00** სერ. "**ქვლები**" **16.30** საუკეთესო ხელნაკეთი **20.30 20.30 22.00** მხ/ფ "**მაიმუნების პლანეტა**" **0.10** ID Extra - მოჩვენებებით შეპყრობილი **1.10, 3.00** URBAN STORIES **2.00, 3.45** ჯიდიპედია

06.10 მუს.პაუზა **06.15** კვირიაკე **07.20** საქართველოს ქალაქები "სიღნაღი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ლექციები მეფუტკრეობაზე **10.50** დ/ფ "ბორჯომის ხეობა" **11.30** ღვთის სახლი **12.10** პორტრეტები **13.15** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელსაგან **13.30** შუადღე ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა "კრასულა ოვატა-ბარაქის ხე" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართ ან/ფ **15.30** III კვირის სამოციქულო საკითხის განმარტება **15.50** ყველაზე, ყველაზე..."თავის გადარჩენის შემთხვევები" **16.30** დ/ფ "შორია გურჯისტანამდე" **17.10** წმინდა ეფრემ ასურის ლოცვის განმარტება **17.30** მინათმოქმედი "ვაზი" **17.45** ქვიშანი დარჩებიან **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია **19.50** წმინდა ეფრემ ასურის ლოცვის განმარტება **20.00** თაობა ზეტი **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "სხვა ვარძია და ვახანი" II ფ. **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** III შაბათის სახარების განმარტება-დეკანოზი ზურაბ მჭედლიშვილი **00.35** სათაველებთან-"ქართული ანბანი" **01.00** შუადღე ერთსულოვნებაზე

7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.30 "კონტაქტი" **7.30** ან/ფ "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.55** "საქმიანი დილა" **10.00** "კონტაქტი" **10.05, 11.05** სერ. "**ვაკი ფული და სიყვარული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **14.05, 15.30, 16.05, 17.05** სერ. "**დაბადებული ლიმილი**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05, 3.00** სერ. "**ცოდვილი სისხლი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45, 22.30** სერ. "**ბანდიტების დედოფალი**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **1.30** სერ. "**ჯარმელიბა**"

პროგრამები იბეჭდება საგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

1 აპრილისთვის

- აშშ დოლარი — 2.3679
- ევრო — 2.6795
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.411
- 100 რუსული რუბლი — 3.4986

ამინდის პროგნოზი 1 აპრილისთვის



29 მარტიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

პაულო კოელიო

ადიულტერი

ლინდამ იცის, რომ გაუმართლა. ერთი შეხედვით, იდეალური ცხოვრება აქვს. სხვების თვალში რესპექტაბელური მეუღლე, მოსიყვარულე დედა და ამბიციური ჟურნალისტია, თუმცა ყოველ დილას თვალის გახელისას მხოლოდ აუტანელ სიცარიელეს გრძნობს.

ყველაფერი იცვლება, როდესაც მის ცხოვრებაში მოულოდნელად ვნება ჩნდება. ლინდა დგება არჩევანის წინაშე, რომელმაც შეიძლება მთელი მისი ცხოვრება შეცვალოს.

ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი

გაზეთი „ახალი თაობა“ წარმოგიდგენთ

1 აპრილიდან

იესო ქრისტეს ნათლისღება

წიგნი შედგენილია
არქიმანდრიტ
ნესტორ ყუბანეიშვილის
მიხედვით

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

ტერ შტეგენი შეიძლება მანჩესტერ სიტიში გადავიდეს

ბარსელონის გერმანელი მეკარე მარკ ანდრე ტერ შტეგენი შესაძლოა სეზონის ბოლოს მანჩესტერ სიტიში გადავიდეს სათამაშოდ.

ხოსეპ გვარდიოლა ტერ შტეგენზე მაღალი აზრისაა და ძალიან სურს, რომ ის თავის გუნდში იხილოს. გარდა ამისა, ტერ შტეგენი უკმაყოფილოა თავისი მდგომარეობით ბარსელონაში, რადგან ის მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის თამაშებზე გამოდის მოედანზე. მან ისიც განაცხადა, რომ თუ არაფერი შეიცვლება, ალბათ, ბარსელონას დატოვებს. მანჩესტერ სიტი ტერ შტეგენში 20 მილიონ ფუნტ სტერლინგს ჩამოდის და, სავარაუდოდ, ბარსელონა ამ თანხაზე არ დათანხმდება, რადგან ტერ შტეგენის ყიდვა კატალონიურ გუნდს თავის დროზე საკმაოდ ძვირი დაუჯდა.

გაზეთი ახალი თაობა წარმოგიდგენთ სერიას

ნობელიანტები ლიტერატურაში

26 მარტიდან — ერნესტ ჰემინგუეი. იქ, მიჩიგანში
2 აპრილიდან — თომას მანი. ავანტიურისტ ფელიქს კრულის აღსარება
9 აპრილიდან — ჯონ გოლზუორთი. ფორსაიტების ხსნა

№1 ლიტერატურული ჯილდო

ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში 1901 წლიდან გაიცემა და წლის ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ კულტურულ მოვლენადაა აღიარებული.

რამდენიმე წლის წინ გამომცემელმა კახმეგ კუდავამ გადაწყვიტა, ნობელის პრემიის ლაურეატების სერიით გამოეცა უკლებლივ ყველა ნობელიანტი, განურჩევლად ჟანრისა და ავტორის ცნობადობისა.

ნობელის პრემიის ლაურეატთა 90-ზე მეტი წიგნი – რომანები, პროზაული და პოეტური კრებულები, ესეისტიკა და ლიტერატურული პორტრეტები – სხვადასხვა დროს არაბულიდან, ბერძნულიდან, გერმანულიდან, ებრაულიდან, ესპანურიდან, თურქულიდან, ინგლისურიდან, იტალიურიდან, პოლონურიდან, რუსულიდან, ფრანგულიდან, შვედურიდან, ჩინურიდან თვალსაჩინო ქართველმა მთარგმნელებმა თარგმნეს.

თითოეულ გამოცემას ერთვის შესავალი წერილი, სადაც მოთხრობილია მწერლისა და ნაწარმოების მნიშვნელობაზე; ასევე სანობელო ლექცია, რომელსაც ტრადიციულად ჯილდოს ოფიციალური გადაცემის დროს კითხულობენ ნობელმინიჭებული ავტორები.



გაზეთი „ახალი თაობა“ წარმოგიდგენთ

წიგნებს მაცხოვრის შესახებ ბავშვებისთვის

შედგენილს არქიმანდრიტ
ნესტორ ყუბანეიშვილის
მიხედვით

25 მარტიდან — იესო ქრისტეს შობა
1 აპრილიდან — იესო ქრისტეს ნათლისღება
8 აპრილიდან — იესო ქრისტეს პირველი მოწაფეები
15 აპრილიდან — იესო ქრისტეს სასწაულები
22 აპრილიდან — საიდუმლო სერობა
29 აპრილიდან — იესო ქრისტეს აღდგომა

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

გარი ნევილი ვალენსიიდან დაითხოვეს

ინგლისელი სპეციალისტი გარი ნევილი ვალენსიამ მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან გაათავისუფლა. ამის მიზეზი ესპანური გუნდის მიერ ნაჩვენები ცუდი შედეგები იყო.

ვალენსია ამჟამად ესპანეთის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში მე-10 პოზიციას იკავებს და ევროთასებზე გასვლის არავითარი შანსი არა აქვს.

ნევილმა მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც მას ვალენსიაში ყოფნის დროს ეხმარებოდა და თქვა, რომ ამ გუნდს მომავალში წარმატებას უსურვებს. გარდა ამისა, ნევილმა აღნიშნა, რომ მას სურს სამწვრთნელო კარიერის გაგრძელება და მომავალში ის აუცილებლად შეეცდება ახალი კლუბის მოძებნას.

მისი თქმით, ის აუცილებლად მიაღწევს წარმატებას ამ დარგში.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ნიკლას ბენტნერს ვოლფსბურგიდან აგდებენ

დანიელი ფეხბურთელი ნიკლას ბენტნერი ცნობილია თავისი სკანდალური ხასიათითა და უცნაური გამოხდომებით.

ამჟამად ბენტნერი ვოლფსბურგში თამაშობს, სადაც აგრძელებს დისციპლინის დარღვევას, რის გამოც კლუბმა ის უკვე ორჯერ დააჯარიმა.

უფრო მეტიც, ცნობილი გახდა, რომ ვოლფსბურგი ბენტნერთან კონტრაქტის გაწყვეტასაც აპირებს, რადგან მის პერსპექტივას ვერ ხედავს.

თავის დროზე ნიკლას ბენტნერი ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ ფეხბურთელად ითვლებოდა დანიაში და არსენალშიც მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ ნიკლასმა თავისი პოტენციალი ვერ გამოავლინა.

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 2. სამგზავრო ავტობუსების მწარმოებელი უნგრული ფირმა; 3. უსიტყვო როლების შემსრულებელი მსახიობი თეატრში; 4. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. თბილ ქვეყნებში გავრცელებული მარადმწვანე ხე; 6. ძვირფასი ქვა, ძალზე მტკიცე მინერალი; 8. შუა აზიასა და ავღანეთში გავრცელებული ველური ვირი; 11. კედელზე გასაკრავი მოხატული ქაღალდი; 14. ფრინველთა შემსწავლელი ზოოლოგია; 15. მწვერვალი კავკასიონზე; 16. ქართველი პოეტი ქალი; 17. სამიჯნურო ხასიათის ოთხსტრიქონიანი სპარსული ლექსი; 19. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა; 21. ავსტრალიური ველური ძაღლი; 22. მიქელანჯელოს ქანდაკება.

თარაზულად: 1. ქალაქი აშშ-ში, სადაც განთავსებულია კოსმოსური კვლევის ეროვნული ცენტრი; 5. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 7. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ესპანელი ავტომრბოლელი; 9. ქართველი მგოსანი; 10. ჩირაღდანი ანუ...; 12. სამხედრო გემების დიდი შენაერთი; 13. უღელტეხილი კავკასიონზე; 16. გულიანი კანფეტი; 17. სუსტი არაყი; 18. საშობაო სიმღერა; 20. მდინარე ვაშინგტონში; 22. ჩქარტემპიანი ჩეხური ცეკვა; 23. ჭადრაკის პარტიის დასაწყისი პაიკის ან ფიგურის შეწირვით; 24. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ალუმინის მწარმოებელი კანადური კომპანია; 25. მდინარე ინდოეთსა და ბანგლადეშში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი 1 აპრილისთვის

ვერძი — დღეს გამორიცხული არ არის მცირეოდენი ოჯახური უსიამოვნებები, გართულებები პირად ცხოვრებაში. საყვარელ ადამიანთან კამათი თქვენ სასარგებლოდ არ დამთავრდება. ** კურო** — ერიდეთ პროვოკაციებს დღის პირველ ნახევარში. მამაკაცებისთვის კომპრომისზე წასვლა რეკომენდებული არ არის. კატეგორიულობა მიუღებელია. **ტყუპები** — ჯანმრთელობისთვის არაკეთილისმყოფელი დღეა. მოსალოდნელია ქრონიკული დაავადებების გამწვავება. ახლობელ ადამიანთან ურთიერთობა გეძაბებათ. **კირჩხიბი** — ეს დღე შესაძლოა წინააღმდეგობრივი აღმოჩნდეს. შინაგანი განგაშის შეგრძნება და ნევროზულობა მთელ დღეს თან გდევთ. ეცადეთ, განმარტოვდეთ და იფიქროთ. **ლომი** — გეგმების განხორციელებაში ხელს არაფერი გიშლით. ფინანსურად გაძლიერდებით. სასიცოცხლო პოტენციალი მაღალ დონეზეა. **ქალწული** — არ ღირს შორს გამგზავრება, მივლინებები, კონტაქტი უცნობ ადამიანებთან. **სასწორი** — ნაყოფიერი დღეა. შრომისუნარიანობა აგიმაღლდებათ. ახალი საქმის დასაწყებად შესაფერისი პერიოდია. **ღრიანკალი** — კარგ გუნებაზე ხართ. მიენდეთ განსაკუთრებით გამახვილებულ ინტუიციას. დაგეგმეთ მომავალი დასვენება. **მშვილდოსანი** — კოსმოსიდან დიდ ენერგიას იღებთ. წარმატებული დღე გაქვთ. ყველა საქმეს იოლად აგვარებთ. **თხის რქა** — იაქტიურეთ. წარმატება გელით პროფესიულ საქმიანობაში. კარიერაში სასიკეთო ცვლილებები შეინიშნება. **მერწყული** — ოცნება გისრულდებათ. ყოველმხრივ კეთილისმყოფელი დღეა. თავს დასვენებისა და განტვირთვის უფლება მიეცით. **თევზები** — თავს კარგად გრძნობთ. მიენდეთ ინტუიციას. ნუ იქნებით მეტისმეტად ლოიალური და უპრინციპო.

გისუსურვებთ ბედნიერ დღეს!